პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 91
(5900)

11 მაისი
1977 წ.
ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გვირგვინებით შეამკეს...

საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად ზეიმით აღნიშნეს ჰიტლერულ გერმანიაზე დიადი გამარჯვების 32-ე წლისთავი.

ლენინის მოედანზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა. აქედან დილის ათ საათზე დაიწყო სვლა გამარჯვების პარკისკენ, სადაც უცნობი ჯარისკაცის ნეშტია დაკრძალული.

გმირთა ხსოვნის პატივსაცემად აქ ვეტერანებთან, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან ერთად მოვიდნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, პ. მელნიკოვი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ზ. ჩხეიძე, ე. შევარდნაძე, თ. მოსაშვილი, ს. ხაბეიშვილი, ო. ჩერქეზია, ნ. ჰითანავა, ჟ. შარტავა. რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

შემდეგ ზეიმი გაგრძელდა წითელ პარტიზანთა სახელობის პარკში, ლისის ტბაზე, აქ დაინთო ტრადიციული პარტიზანული კოცონი. მოეწყო დიდი სამამულო ომის ვეტერან პარტიზანთა საზეიმო შეკრება. მათ დღესასწაული მიულოცეს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა.

ამავე დღეს მოეწყო მიტინგები დიდ სამამულო ომში დაცემულთა მემორიალებთან.

ზეიმი ქალაქის ბაღებსა და პარკებში, სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე, კულტურის სახლებსა და კლუბებში გვიან საღამომდე გაგრძელდა.

(საქინფორმი).

გამარჯვების დღეს მიეძღვნა



1977 წლის 9 მაისი, თბილისი, გამარჯვების პარკი. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ველოსპორტი

დიდი კვირეული დამთავრდა

ველოსიპედისტთა ეგრეთ წოდებული დიდი კვირეული თბილისში, რომელიც სპრინტში საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყო, 9 მაისს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ასპარეზობით დამთავრდა.

რუსთაველის გამზირი საზეიმოდ მოერთოთ საქართველოს და თბილისის ფიზკულტურის კომიტეტებს, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს დედაქალაქის ქუჩებში ტურნირის მაღალ დონეზე გამართვისთვის. ტრასაზე, რომელიც ლენინის მოედნიდან კაფე „მეტრომდე“ (და უკან) გრძელდებოდა, მოსკოვის, ლატვიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 56 სპორტსმენი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

მონაწილეებს 3-კილომეტრიანი წრე ათჯერ უნდა შემოევლოთ. ყოველი წრის ბოლოს საშუალედო ფინიში იყო მოწყობილი. წრეზე გამარჯვებულს 5 ქულა ეძლეოდა, მეორე ადგილზე გასულს — 3... მას, ვინც უკანასკნელ ფინიშს მოიგებდა, ქულები ორმაგად ეწერებოდა.

ასპარეზობის ასეთმა ფორმულამ ბრძოლა სტარტიდანვე დაძაბა, ამან ხელი შეუწყო შეჯიბრების მაღალ ტემპს. რბოლა უაღრესად საინტერესო გამოდგა. გამზირის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ათასობით მაყურებელი სპორტსმენებს გამამხნევებელი ყიჟინით ეგებებოდა. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ მთელი კოლექტივი 30 კილომეტრის მანძილზე ერთიან ჯგუფად მიემურებოდა წინ. რამდენიმე მონაწილემ ზოგჯერ „გაქცევაც“ სცადა, მაგრამ ამაოდ. მსაჯებს ფინიშზე ყველაზე წინ მოსული კვარტეტის დადგენა უჭირდა (ქულებს ოთხი კაცი იღებდა), მაგრამ გამოცდილი არბიტრები მოვალეობას თავს მაინც წარმატებით ართმევდნენ.

პირველ საშუალედო ფინიშზე დაწინაურდნენ თბილისელები რ. ქრისტესიაშვილი („განთიადი“), ვ. ივანოვი („დინამო“), დ. კობაიძე (ასკ), ა. ხახიაური („ბურევესტნიკი“), რუსთაველი ზ. ძულიაშვილი და ლატვიელი სტუმარი უ. ანსონსი. შემდეგ ანსონსის უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა, უკანასკნელი ფინიში მან მოიგო და 24 ქულით I ადგილი დაიკავა. ქრისტესიაშვილი მას 3 ქულით ჩამორჩა. ივანოვსა და კობაიძეს 10-10 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ III ადგილი ივანოვს მიეკუთვნა. ლიდერმა მთელი ტრასის გავლას 36 წუთი და 30 წამი მოანდომა. ეს დაახლოებით საათში 50 კილომეტრ სისწრაფეს უდრის.

უძლიერეს ექვს სპორტსმენს, რომელთა შორის ხახიაური და ძულიაშვილიც იყვნენ, გამარჯვების დღის აღსანიშნავად საჩუქრები გადაეცათ.

ჰ. ჯიმშელაძე.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი

კრივი

ტრადიციად უნდა იქცეს

სპორტის სასახლეში 8 მაისს დამთავრდა სახელოვანი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის პირველი საკავშირო მემორიალი კრივში. რინგზე გამართული ცხარე ბრძოლები მიწყნარდა და მემორიალის პირველი ლაურეატებიც გამოვლინდნენ. განვლილ შეჯიბრებაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონს, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისა და 1953 წლის ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორს, მემორიალის ჟიურის თავმჯდომარეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ს. შჩერბაკოვს.

— უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ასპარეზობის ორგანიზაციის მაღალი დონე. რაც შეეხება თვითონ შეჯიბრებას, ალბად აჯობებდა იგი სხვა დროს გამართულიყო. მართალია, სახელოვანი მხედართმთავრის მემორიალი გამარჯვების დღეს უნდა დამთხვეოდა, მაგრამ ევროპის პირველობაც კარს მოგვადგა და უძლიერესი მოკრივეები გაცხოველებით ემზადებიან ამ ასპარეზობისთვის. სწორედ ამიტომ ვერ გამოვიდნენ სარბიელზე დავით კვაჭაძე და ამირან ხიზანიშვილი. ამის მიუხედავად, შეჯიბრებამ საინტერესოდ ჩაიარა, მან ბევრი ნიჭიერი მოკრივე გამოავლინა. მარტო ის რად ღირს, რომ მემორიალის ლაურეატთა ორი მესამედი საქართველოს წარმომადგენელია. პრიზიორთა ჯგუფის მიღმაც ბევრი ნიჭიერი მოკრივე დარჩა. მაგალითად, ძალიან მომეწონა პირველი საშუალო წონის მოკრივე მ. თაქთაქიშვილი. ასევე ნიჭიერი მოკრივეები არიან ტ. ცაბოლაშვილი, ვ. გოგუაძე, ო. ველიციანი, დ. შიუკაშვილი, ო. ზაროიანი, ე. პავლოვი და სხვები.

შეჯიბრებას ადგილობრივი მსაჯები ემსახურებოდნენ, რის გამოც ზოგჯერ არაობიექტურობის ფაქტებიც გვხვდებოდა. ამიტომ მომავლისათვის ალბათ საჭირო იქნება მოვიწვიოთ არბიტრები სხვა რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდანაც. ვფიქრობ, მემორიალი აუცილებლად, საერთაშორისო ასპარეზობად უნდა იქცეს...

ლესელიძის I საკავშირო მემორიალის ლაურეატები გახდნენ:

48 კგ. გ. ასლანოვი (თბილისი), ა. ბარილკო (ვოლგოგრადი); **51 კგ.** ს. საპკიანი, თ. ხუდოევი, ო. განჯოიანი (სამივე — თბილისი); **54 კგ.** გ. ასოევი (თბილისი), პ. ზინკოვი (ვოლგოგრადი), გ. ქუხიანიძე (ქუთაისი); **57 კგ.** ს. პეტროსიანი, ვ. მურადიანი, ვ. გოგუაძე (სამივე — თბილისი); **60 კგ.** ო. ველიციანი (რუსთავი), რ. აირაპეტოვი, ე. გავრილოვი (ორივე — თბილისი); **63,5 კგ.** ე. პავლოვი (ვოლგოგრადი), ვ. ტატაროვი, ტ. ცაბოლაშვილი (ორივე — თბილისი); **67 კგ.** ო. ზაროიანი (ერევანი), ჯ. ქორქოლიანი (ქუთაისი), ა. მოტინი (კიევი); **71 კგ.** ვ. პეტროსიანი, დ. შიუკაშვილი (ორივე — თბილისი), ნ. მაკიენკო (ვოლგოგრადი); **75 კგ.** ა. სოკურაშვილი (თბილისი), ა. კირდიაევი (კიევი); **81 კგ.** ვ. ბორტნიკოვი (თბილისი), ვ. აივაზიანი (ერევანი); **81 კგ-ს ზევით.** ფ. ალბოროვი (ცხინვალი), პ. ტარანოვი (მოსკოვი), ვ. ჯანელიძე (რუსთავი).

* * *

სურათზე: ფ. ალბოროვისა (მარცხნივ) და პ. ტარანოვის ორთაბრძოლის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების დღეს მიეძღვნა

•

საიუბილეო პაექრობა

ჭადრაკი

გამარჯვების დღეს მიეძღვნა თბილისში, ჭადრაკის სასახლეში 9 მაისს ტრადიციულად მოწყობილი ზეიმი — ცნობილ მოჭადრაკეთა ერთდროული თამაშის სეანსები. გულშემატკივრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს შეჯიბრებისადმი.

სეანსები გამართეს დიდოსტატებმა დ. ბრონშტეინმა, მ. ტაიმანოვმა, ვ. ცეშკოვსკიმ, ე. ვასიუკოვმა, ბ. გურგენიძემ, ე. გუფელდმა, ვ. ტუკმაკოვმა, საერთაშორისო ოსტატმა ე. სვეშნიკოვმა, ოსტატებმა თამარ ხუგაშვილმა, ვ. ბიხოვსკიმ, ა. ბლაგიძემ, ე. უბილავამ, ა. ბუსლაევმა, მ. შიშოვმა, ა. იზვოზჩიკოვმა და თ. კიკიანმა.

სეანსებში თავი ისახელეს: დ. სოსოკიამ (დაამარცხა ტუკმაკოვი), გ. გრიგორიადისმა (ბრონშტეინი), ზ. მედოიძემ (ბუსლაევი) და გ. ჭანტურიამ (იზვოზჩიკოვი). ყაიმს მიაღწიეს: ი. ქვლივიძემ — ბრონშტეინთან, ა. გაბუნიამ — სვეშნიკოვთან, ა. მეშველიშვილმა — ბიხოვსკისთან, ა. მელაძემ — ბლაგიძესთან, კ. გიორგაძემ — უბილავასთან, შ. იათაშვილმა (52-ე საშუალო სკოლა) და მაკა მერკვილიშვილმა (159-ე საშუალო სკოლა) — კიკიანთან.

დანარჩენი შეხვედრები სეანსიორებმა მოიგეს.

ლ. წეროძე,
ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის დირექტორი.

ზეიმი ზღვაზე

თბილისის ზღვაზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად დიდი სპორტული ზეიმი მოეწყო. სადღესასწაულოდ იყო მორთული წყალჯომარდობის სადგური. ზეიმი ხომალდების ალლუმით დაიწყო. თავდაპირველად წყალზე მოთხილამურეებმა სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ალმები გამოიტანეს. შემდეგ ყურეში საკრეისერო ნავები შემოიყვანეს კაპიტნებმა ი. ფერაძემ და ხ. ცხოვრებოვმა. მათ მოჰყვნენ კატამარანი „ტორნადო", „მფრინავი ჰოლანდიელი", „ფინი", „ვარსკვლავისებური" და სხვები. ლამაზ მწკრივად ჩაიარეს აკადემიურმა ნავებმა, ბაიდარებმა, კანოეებმა.

შემდეგ დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები ზედ წყლის ნაპირზე დადგეს ბატუტი, რომელზეც მაყურებელს თავიანთ ოსტატობას უჩვენებდნენ სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრები ფ. ფირანიშვილი და ნ. კალინინი, საქართველოს ჩემპიონები ს. მარქარიანი, ლ. აბრამიშვილი, ე. გალჩევი და სხვები. იქვე მწვანე ბალახის ხალიჩაზე სხვადასხვა კომბინაციებს ასრულებდნენ აკრობატები — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი, ჭაბუკთა ნაკრები გ. სუთიძის, ა. არუთინიანის, ვ. თურქაძისა და გ. კაკაშვილის შემადგენლობით, ძალისმიერი წყვილი — ს. სისოევი და ა. ზალინიანი, ქალთა ტრიო — მ. მნათობიშვილი, მ. შილაკაძე და ნ. კიკილაშვილი, შერეული წყვილი — გ. მახარაშვილი და ვ. მარქარიანი, ქალთა დუეტი — მ. შეროზია და მ. თექთუმანიძე.

საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს საზოგადოება „დინამოს" და თბილისის მწვრთნელთა სკოლის მოჭიდავეებმა.

და აი, დღესასწაულის ეპიცენტრმა კვლავ წყალზე გადაინაცვლა. თავიანთი ოსტატობა გვიჩვენეს ჩვენი რესპუბლიკისთვის ახალი სახეობის ვინდსერფინგის წარმომადგენლებმა, აგრეთვე, წყალზე მოთხილამურეებმა. მაყურებლები დიდხანს უკრავდნენ ტაშს ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელებს, სპორტის ოსტატობის კანდიდატებს თ. ალექსანდრიას და თ. კობაიძეს, წყალზე მოთხილამურეებს ნ. ზუბაშვილს, ვ. ბარიშევსა და სხვებს.

თბილისის ზღვაზე ჩატარებული ზეიმი ლამაზი და სასარგებლო ღონისძიება იყო. დღესასწაულის ორგანიზატორი — საქალაქო სპორტკომიტეტი ამ თაოსნობისთვის მადლობას იმსახურებს.

ბ. ქვათაძე.

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

იდეის აღორძინება

ანუ ერთი საშვილიშვილო საქმის დასაწყისი

•

ადამიანები ერთნაირად როდი იტვირთავენ თავს დღის განმავლობაში. ზოგი საქმეს ერთი ხელის დაკვრით აკეთებს. ზოგს დინჯი, მადიანი შრომა უყვარს. ზოგი მთელი კვირის ულუფას ერთ დღეში მოილევს, ზოგს დღე კი არა, წუთი რაა, ისიც გაზომილ-აწონილი აქვს. საქმეს რა შვენის, ისაა მთავარი, თორემ გინდა თვე გიმუშავია, გინდა მთელი სიცოცხლე.

არიან ისეთებიც, დაუცხრომელი ხასიათის გამო მთელი დღე ჯარასავით რომ ტრიალებენ და ის დალოცვილი დრო მაინც არ ჰყოფნით. დღეს სწორედ ერთი ასეთი კაცის შესახებ გვექნება საუბარი.

გვარი მისი — მაზიაშვილი. სახელი — ბიძინა. ოფიციალურად საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად ითვლება, სინამდვილეში უფრო მეტია, ვიდრე სპორტის ერთი სახეობის შტატიანი უფროსი მწვრთნელი. იგი ძიუდოს თავკაცია, მისი სული და გული, ჩვენი ფალავნების ყველა ჭირისა და ლხინის პირველი მოზიარე, გამრიგებელი და სულის ჩამდგმელი.

ახირებული კაცია ბიძინა. ძალზე ახირებული. ერთხელ რომ მიზანს დაისახავს; მერე სულ ამ მიზნით შეპყრობილი დადის, ყველას მოურიდებლად აწუხებს. თავად ყველაზე მეტად წუხდება, ეძებს, პოულობს, ისევ ეძებს და მანამ არ მოისვენებს, სანამ საწადელს არ მიაღწევს. მერე ისევ ყველაფერს თავიდან იწყებს... ჩვენს დროში ეს საამაყო თვისებაა — ქვასაც წვენს რომ გამოადენ, თუმცა ბევრს, შესაძლოა, არ მოსწონს კიდეც. დიპლომატიას რომ ამბობენ, არა აქვს. ეს სკოლა არ გაუვლია. ჯიქურ მიდის საქმეზე. ჯიქურ ჭრის და ბოლოს უსათუოდ პოულობს თანამოაზრეს.

...ეს აზრიც შემთხვევით არ მოსულა. ფალავანთა კლუბში რომ ბევრი ნათელი დარბაზია, ყველამ იცის. იქ ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეები ვარჯიშობენ. ახალბედაც ბევრია, გამოცდილი ოსტატიც. ხალიჩაზე, წვრთნის დროს ისინი თანასწორუფლებიანი სპორტსმენები არიან. ხალისით მოდიან დარბაზში და დაღლილი ტოვებენ მას, მძიმე და სასარგებლო ვარჯიშით გათანგულები.

ყველა მათგანს თავისი წილი გზა აქვს გასავლელი ამ წუთისოფელში, მაგრამ ეს გზა უსათუოდ იქ უნდა დაიწყოს, ფალავანთა კლუბის კედლებში. მერე აქედან მიემგზავრებიან ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს სხვადასხვა სარბიელისკენ გაგონილისა და ნასწავლის შესამოწმებლად.

მაგრამ თბილისში ფალავანთა მექა ერთია, ჭიდაობის მოსურნეთა რიცხვი კი — აურაცხელი. თან, თვით ჭიდაობა ოთხ ტოლ ნაწილადაა დანაწევრებული, რომელთაგან ძიუდო სხვებზე მეტად თავისებური და განსხვავებულია. ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ფალავანთა კლუბში ძიუდოს მისთვის შეუფერებელი ადგილი აქვს მიჩნეული, შენობის მანსარდში, ერთ მომცრო და დახურულ ოთახში. ბეჭებგანიერი ფალავნები გალიაში მომწყვდეულებივით გმინავენ, ლამობენ ფრთების გაშლას, მაგრამ, ამაოდ.

ფალავნების „ტყვეობიდან" დახსნის იდეას ბიძინა მაზიაშვილი დიდხანს საიდუმლოდ ატარებდა. მერე კი, როცა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად საქსოფლტექნიკის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე დავით სარიშვილი აირჩიეს, მას გაანდო გულისწადილი.

დავით სარიშვილმა ერთბაშად აუღო ალღო თავისი უსახლკარო მრევლის გასაჭირს და გადაწყვიტა შეძლებისდაგვარად ხელი გაეწვდინა მისთვის. ასე შეისხა ფრთები ძიუდოს სპეციალიზებული დარბაზის მშენებლობის იდეამ ფალავანთა კლუბისა და ფიზკულტურის ინსტიტუტს შორის მდებარე ტერიტორიაზე.

მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ახალ და სასარგებლო წამოწყებას მაშინვე გამოუჩნდნენ მტრები. რა თქმა უნდა, მომხრეებიც იყვნენ, მაგრამ პირველ ხანებში, სამწუხაროდ, მათი რიცხვი შეუდარებლად მცირე ჩანდა. ასეა მუდამ, ახალ იდეას დასაწყისში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მერე კი, როცა საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრება, ყველა ჩემულობს პირველობას.

თორემ, ვიმეორებთ, სულ ადრე იყო იდეა, ფედერაციის პრეზიდენტისა და საქართველოს სპორტკომიტეტის მხარდაჭერა მხოლოდ. მაგრამ კეთილი საქმის დასაწყისისთვის ესეც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

ჩვენ აქ შეგნებულად გამოვტოვებთ ბიუროკრატიული ორომტრიალის საკმაოდ ვრცელ პერიოდს, რომლის დროსაც უთავბოლოდ დაფრიალებდა ერთი ინსტანციიდან მეორეში საქმიანი ქაღალდები. მაგრამ ამ პერიოდში ერთი სასარგებლო საქმე მაინც ვაკეთდა. თავდაპირველი მონდომება მტკიცე რწმენად და საქმის მოყვარული ხალხის მხარდაჭერად იქცა.

ესე იგი, ვტოვებთ დასაწყის პერიოდს და პირდაპირ იდეის აღორძინების ხანაზე გადავდივართ. ამასთან, წინასწარ ვუხდით მადლობას ყველას, ვინც ყურად იღო ქართველი ფალავნების თხოვნა და პატრიოტულ საქმეს ჭეშმარიტი გვირგვინი დაადგა. ისინი ყოველგვარი პატივისცემის ღირსნი არიან.

მაშ ასე, დავუბრუნდეთ ძიუდოს სპეციალიზებულ დარბაზს და მოკლედ მოვხაზოთ მისი ლამაზი მომავლის კონტურები. ერთი წუთით წარმოიდგინეთ ლითონის მილებისაგან ასაწყობი კონსტრუქცია, რომელიც მშენებლებში „მოდული კორპუსის" სახელითაა ცნობილი. თუმცა გაფრთხილებთ წინასწარ: ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ამის წარმოდგენა ძნელია.

...მშენებლობის გვერდით აწყვია ლითონის ვეებერთელა მილები, გაურკვეველი ფორმის კონსტრუქციები, ბოძები, სხვადასხვა ზომისა და წონის მავთულები. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ჯართი როდესმე დარბაზად აიწყოს. ჩვენთვის ძნელია, მშენებლებს კი ეღიმებათ, როცა ასეთ უმეცრებას ისმენენ, თანაც გვიხსნიან, რომ მსოფლიოს საგამოფენო პავილიონების უმრავლესობა სწორედ ასეთი წესითა და რიგით შენდება.

იყოს ასე, ჩვენთვის ბოლოს და ბოლოს მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ განხორციელდება თამამი საინჟინრო ჩანაფიქრი, არამედ ის, თუ რა სახეს მიიღებს საბოლოოდ ნაგებობა. ის კი თურმე ასეთი იქნება: სიგრძე — 30 მეტრი, სიგანე — ამდენივე, სიმაღლე — 11 მეტრი. მაყურებლისთვის დაგეგმილია 700 დასაჯდომი ადგილი. გათვალისწინებულია ყველა სახის სათავსები, გასახდელი, საშხაპე, ადმინისტრაციული ოთახები, საექიმო კაბინეტი, დარბაზი საერთო ფიზიკური მომზადებისთვის, ორთქლის აბანო და... კიდევ ერთი დეტალი. დარბაზს ექნება დახურული გადასასვლელი იქვე გვერდით მშენებარე ღია საცურაო აუზში. დაგვეთანხმებით ალბათ, რომ სამოთხე სხვა არაფერი [illegible] წლების მანძილზე [illegible] იყო მომწყვდეული.

...თებერვალში ყოველგვარი ზარზეიმის გარეშე მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. საქმის დასაწყისს არ შეშვენის ხმაური. ტაშის კვრას მადლი მაშინ აქვს, როცა საქმე დასრულდება. მარტში პირველი ბარი დაჰკრეს მომავალი დარბაზის ტერიტორიას, მერე წერტილოვანი ფუნდამენტის რკინა-ბეტონის სამუშაოებს მიჰყვეს ხელი. გამოცდილი ხალხის აზრით, ყველაზე რთული და შრომატევადი შიდამოწყობის სამუშაოები იქნება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ექსპლოატაციის დაწყება ოქტომბრის მე-60 წლისთავისთვისაა ნავარაუდევი.

ამ ცოტა ხნის წინათ სამუშაოთა მწარმოებელი ომარ გოგოხია მოვინახულეთ. იგი დაწვრილებით გვესაუბრა მშენებლობის ავ-კარგზე, მის ტემპზე, მერე კი ხაზი გაუსვა იმას, რომ მუშები, რომლებსაც შეგნებული აქვთ ამ დარბაზის მნიშვნელობა, თავს არ ზოგავენ, რათა დროულად და პირნათლად შეასრულონ დანაპირები.

ერთი ასეთი მაგალითი — მუშა მურად გარდაფხაძე, რომელიც ქალაქის ჩემპიონის სახელს ატარებს ძიუდოში და არაერთგზის იყო რესპუბლიკური ტურნირების პრიზიორი, მთელი დღე გატაცებით მუშაობს, დღისით იგი ცეცხლს აფრქვევს მშენებლობის ტერიტორიაზე, საღამოს კი, ვარჯიშის დროს — სარბიელზე. მურადის გულმოდგინება გადამდები აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, მას ტოლს არ უდებენ დურგალი ვასო ხინჩაგაშვილი, მებეტონე არჩილ წენგუაშვილი, მუშა ნიკოლოზ ძულიაშვილი და სხვები.

ისიც ნიშანდობლივია, რომ, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებენ, რესპუბლიკის მოწინავე ძიუდოისტები მშენებლობაზე მოდიან და თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთო საქმეში. ერთხელ იქ რესპუბლიკის ნაკრების წევრებსაც შევხვდით. რა დასამალია. მშენებლობის დამთავრება ყველაზე მეტად მათ აინტერესებთ. ბიძინა მაზიაშვილისთვის კი მომავალი დარბაზის ტერიტორია მეორე სახლია. იგი დღეში ათჯერ მაინც დახედავს საქმეს — თითქოს ანგარიშს იბარებსო მშენებლებისაგან.

მაგრამ ენთუზიაზმი და მხარდაჭერა საქმის ერთი მხარეა მხოლოდ. ახლა, როცა მომავალმა დარბაზმა კონკრეტული სახე მიიღო, ყველაფერი იმათ გარჯაზეა დამოკიდებული, ვინც პასუხს აგებს მშენებლობაზე. ისინი კი სიტყვისა და საქმის ხალხი არიან. ამიტომაც სიხარულით გაცნობთ მათ: საქსოფლტექნიკის № 1 სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო ტრესტი (მმართველი ოთარ აფაქიძე) და მისი № 1 სამმართველო.

ნ. გუგუშვილი.

გარი მერკვილაძის სახელობისა

წყალბურთი

ბათუმის „განთიადის" საცურაო აუზში ხუთ დღეს გრძელდებოდა ჩვენი თანამემამულის, საბჭოთა კავშირის გმირის გარი მერკვილაძის პრიზის გათამაშება წყალბურთში. ასპარეზობდნენ საქართველოს, სომხეთის, მოლდავეთის, ლენინგრადის, ლვოვისა და აჭარის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება გახსნეს საქართველოს და აჭარის ნორჩმა წყალბურთელებმა. ამ მატჩში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 8:7. მოლდაველებმა მოუგეს სომხებს — 7:4, ლვოვის კოლექტივმა დაამარცხა ლენინგრადის გუნდი ანგარიშით 10:3. მომდევნო დღეებში გამართული მატჩების შედეგები ასეთია: აჭარა — ლვოვი 6:6, სომხეთი — ლენინგრადი 5:3, საქართველო — მოლდავეთი 9:4, აჭარა — მოლდავეთი 6:2, საქართველო — ლენინგრადი 6.5, ლვოვი — სომხეთი 15:0, აჭარა — სომხეთი 10:3, საქართველო — ლვოვი 5:4, ლენინგრადი — მოლდავეთი 6.5. შეჯიბრების ბოლო დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარისა და ლენინგრადის გუნდების მატჩს. აჭარის ნაკრები მოგების შემთხვევაში 1 ადგილს და გარდამავალ პრიზს მოიპოვებდა. ამ ამოცანას მასპინძლებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი, ანგარიშით 7:6 სძლიეს მეტოქეს და 10 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვეს. საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა სომხეთის წარმომადგენლები ანგარიშით 10.6, ხოლო ლვოვის გუნდმა მოუგო მოლდავეთის სპორტსმენებს — 8:3.

მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ნაკრები (8 ქულა), მესამეზე — ლვოვის გუნდი (7).

ამ საინტერესო ტურნირს საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ. ამიერიდან შეჯიბრება ტრადიციული გახდება.

ო. მურვანიძე.

ზაპოროჟიეში

რამდენიმე დღეს გაგრძელდა ყრუ-მუნჯთა საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი მოჭიდავეები.

წარმატება ხვდა თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატის მოსწავლეს თ. არჩუაძეს, რომელმაც ოთხი წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ფინალში შეხვდა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს რ. ისმაილოვს (რსფსრ). ერთმანეთის პირისპირ დადგნენ 26 წლის ისმაილოვი და 18 წლის არჩუაძე. ბევრად უფრო გამოცდილმა ისმაილოვმა გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა. თბილისელი სპორტსმენი II ადგილზე გავიდა.

ე. სხირტლაძე,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: თ. არჩუაძე.

ერთი მხედარი ორ ცხენზე

გუდაუთა (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ჩვენი რესპუბლიკის ცხენოსანთა გუნდი გუდაუთაში ემზადება. ისინი ამ დღეებში, საქართველოს სხვა უძლიერეს მხედრებთან ერთად ჩაებნენ 11 რესპუბლიკურ თამაშებში. სრული გუნდები მხოლოდ თბილისმა და აფხაზეთმა გამოიყვანეს, ფოთი და ზუგდიდი თითო ოროლა ცხენ-მხედარით წარსდგა საასპარეზოდ.

რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს სამჭიდელს, თბილისელ სპორტის ოსტატ ზ. დუნდუას შეკრებაზე ცხენი დაუშავდა. გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მხედართან ერთად სხვა ცხენი გამოეცადა საკავშირო სარბიელზე გასვლის წინ. საერთო ინტერესებით გამართლებულ ამ წინადადებას მსაჯებმაც დაუჭირეს მხარი. ზურაბი ერთის ნაცვლად ორი ცხენით ჩაება სამჭიდელთა პაექრობაში. იგი ჯერ გულრიფშელთა „იზუმრუდზე" ამხედრდა, შემდეგ ზუგდიდელთა „ლაზზე" გადაჯდა. ერთი სიტყვით, „იზუმრუდი" და „ლაზი" რომ კარგი მერნები არიან და გამოცდილი სპორტსმენის მხედრობით შეიძლება პასუხსაგებ შეჯიბრებებში მათი გამოყვანა, თვალნათლივ დადასტურდა. დუნდუა სამჭიდის პირველ სახეობაში, სამანეჟო სკოლაში, „იზუმრუდზე" მესამე იყო, „ლაზზე" — მეხუთე. სამაგიეროდ გაცილებით უკეთ იასპარეზა ყველაზე რთულ სახეობაში — საველე გამოცდაში. კროსი ორივე ცხენმა ისე გაიარა, რომ მწვრთნელები გაოცებას ვერ ფარავდნენ, რა თქმა უნდა, ამ წარმატებას დუნდუას მაღალ ოსტატობას უნდა ვუმადლოდეთ. რაც შეეხება ჩათვლას, აქ უპირატესობა ცხენების პატრონებს ენიჭებოდათ. „იზუმრუდი" ქულას აფხაზეთის ნაკრებ გუნდს აძლევს, „ლაზი" — ზუგდიდს.

საშუალო № 1 პრიზის გათამაშებაში ამჯერად უმაღლესი შედეგი იყო 71,2 პროცენტი. ეს წარმატება თბილისელ მხედარს ი. კოქინას ხვდა წილად. მეორე ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ვ. ბეზნიკინმა — 69,2 (ორივე მხედრის მწვრთნელია სპორტის ოსტატი ა. კიკიანი), მესამე გუდაუთელი ო. გონჩარუკი იყო — 65,5. № 2 პრიზზე ადგილები ისევ ამ სამეულმა გაინაწილა. ბეზნიკინი პირველი იყო — 67,7 პროცენტი, გონჩარუკი მეორე ადგილზე გავიდა — 67,06, კოქინა მესამეზეა — 63,1.

პროგრამის გარეშე გაიმართა შეჯიბრება „გახსნის პრიზზე" დაბრკოლებათა გადალახვაში. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ხ. სიმონია (გუდაუთა) უჯარიმოდ, ბ. კუზმინი (თბილისი) 4 საჯარიმო ქულა, მ. სანგულიანი (ოჩამჩირე) — 8.

სამჭიდელთა ასპარეზობაში ლიდერობს ზუგდიდელი ვ. კრაინენკო.

ასპარეზობა გრძელდება.

თ. გაჩეჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

ბოლო აკორდი

საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე

თბილისის ტრეკზე სპრინტში საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ სტუმრები საკავშირო ტურნირშიც ცდიდნენ ძალას. მესამე დღეს გამოვლინდნენ გამარჯვებულნი 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში.

III ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ლატვიის გუნდი და საბჭოთა კავშირის I ნაკრები. ქვეყნის ნაკრების სპორტსმენებმა მეტოქე ადვილად დაამარცხეს. მათ დისტანციის გავლას 4 წუთი და 36,84 წამი მოანდომეს, ლატვიელები 5,42 წამით ჩამორჩნენ.

პირველი ადგილისთვის დავა ჰქონდათ საბჭოთა კავშირის მეორე და მესამე ნაკრებ კოლექტივებს. მეორე გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, სიმფეროპოლელი პ. დომოჟილკინი, ერევნელი ვ. კარაპეტიანი, ტულელი ი. პელიპენკო და ალმაათელი ვ. ერლიხი, შესანიშნავი დრო აჩვენა — 4.32,32. მისი მეტოქის შედეგია 4.36,75.

დამთავრდა, აგრეთვე, იუნიორთა შეჯიბრება სპრინტში. ორდღიანი ასპარეზობის ჯამში ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ტულელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 21 წლის ო. გუდიმი, რომელმაც ფინალში უკანასკნელი 200 მეტრი 11,9 წამში გაიარა. მან გადამწყვეტი რბოლა მოუგო თანაქალაქელ სპორტის ოსტატს ვ. ბულგაკოვს, III ადგილი წილად ხვდა კიეველ ოსტატს, 18 წლის ა. კარპუშკინს.

იუნიორთა შეჯიბრების ყველაზე საინტერესო სახეობა გახლდათ 60 წრეზე ჯგუფური რბოლა 12 საშუალედო ფინიშით. ბედმა აქაც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, ტულელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. პეტრაკოვს გაუღიმა.

საღამოს, წვიმის გამო ტურნირი შეწყდა. ამის მიუხედავად სამდღიანი ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩატარდა, რითაც კმაყოფილი დარჩნენ როგორც უცხოელი სტუმრები, ისე საბჭოთა სპორტსმენები. მაგალითად, იტალიის გუნდის მწვრთნელ-წარმომადგენელს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ს. ბიანკეტოს არ დაუმალავს, რომ იგი კმაყოფილია შეჯიბრების ორგანიზაციით, მასპინძლობით, რამაც ხელი კიდევ უფრო შეუწყო საბჭოთა და იტალიელი ველოსიპედისტების დაახლოებას.

შეჯიბრების მაღალ დონეზე გამართვისთვის, თბილისის ცენტრალური ველოდრომის დირექცია, მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე და ასპარეზობის საერთაშორისო კომისარი მ. ბარამია საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ა. ჭიჭინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: ო. ფხაკაძე (მარცხნივ) და ს. ბიანკეტო.

ო. გელაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

ორი ერთნაირი შეცდომა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8 მაისი.

„ელვა“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 10:4 (7:4).

„ელვა“: კოტრიკაძე, სანებლიძე, ურუშაძე, რეხვიაშვილი, ვაზაგაშვილი, მამულაშვილი, რამიშვილი, შავდია, მენაბდე, ანდღულაძე, ეკალაძე, ნაცვლიშვილი, თოფურია, ბახტაძე, აბაშიძე (ცინცაძე).

„ლოკომოტივი“: იაკიმოვიჩი, ხამოზვანოვი, სლობოდნიუკი (სავინი), სვირიდოვი, რახმანოვი, მატვეევი, ლებედევი, ივანოვი, კარაჩევცევი, კიიანოვი, ჟურავლიოვი, ბელოვი, ალაუტდინოვი, კოპილოვი, ტიმოშენკო.

მსაჯი ვ. კრავცოვი (კიევი).

რეგბისტთა საკავშირო პირველობის მონაწილეებისადმი საქართველოს სპორტკომიტეტის მისალმების ტექსტის გაცნობის შემდეგ გუნდების კაპიტნებმა თოფურიამ და იაკიმოვიჩმა ჩემპიონატის საზეიმოდ გახსნის ნიშნად ალამი აღმართეს და მატჩიც დაიწყო.

მასპინძლებმა თავიდანვე ენერგიულად შეუტიეს და უკვე მე-4 წუთზე წარმატებას მიაღწიეს, თუმცა ამაში მათ მოსკოველთა დაცვა დაეხმარა — სტუმრების მიერ ცუდად მოგერიებულ ბურთს „ელვის“ დებიუტანტმა შავდიამ მიუსწრო და იგი რკინიგზელთა ჩათვლის მოედანზე დადო. მაგრამ თბილისელებმა ეს უპირატესობა მხოლოდ სამ წუთს შეინარჩუნეს. მე-7 წუთზე აბაშიძემ ანალოგიური შეცდომა დაუშვა და იაკიმოვიჩმა წონასწორობა აღადგინა.

დაცვაში ორმხრივმა წუნმა მეტოქეთა ცეცხლი ერთგვარად შეანელა და თამაში დიდხანს დაძაბულად მიმდინარეობდა, რაც ზოგჯერ უხეშობაშიც გადადიოდა. მასპინძლები უფრო მალე გამოერკვნენ და იერიშები გაამძაფრეს, რასაც რკინიგზელებმა კიდევ უფრო მეტი უხეშობით უპასუხეს. აბაშიძის ერთ-ერთი სწრაფი რეიდი ჟურავლიოვმა აშკარად აკრძალული წესით შეაჩერა, რაც ანდღულაძემ დაუსჯელად არ დატოვა. მსაჯმა, სრულიად სამართლიანად, ჟურავლიოვიცა და ანდღულაძეც მინდვრიდან გააძევა. ეს შესვენებამდე 5 წუთით ადრე მოხდა.

თბილისელებისთვის ეს თითქოს ნიშანი იყო. დარჩენილ დროში ისინი მეტოქის მოედანს აღარ მოშორებიან. ბურთი ერთიდან მეორე ფრთაზე სწრაფად მოძრაობდა. რკინიგზელები დაიბნენ, რითაც ეკალაძემ კარგად ისარგებლა და არეკნით დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარის ძელებს შორის გაატარა.

მეორე ტაიმში წვიმა დაიწყო, სველი ბურთის დაჭერა ჭირდა, რასაც ხშირად მოსდევდა შეცდომები. მდგომარეობას ალღო ყველაზე კარგად აუღო მენაბდემ, რომელიც დაცვაში გამოირჩეოდა. თბილისელებმა შეხვედრის 55-ე წუთზე საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს, რაც აბაშიძემ ზუსტად გამოიყენა — 10:4.

შემდეგში წარმატების მოპოვება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ „ელვამ“ აჯობა მეტოქეს და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ო. ივლოშვილი.

• • •

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.

სხვა მატჩები

8 და 9 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის სხვა შეხვედრები. კიევში ადგილობრივი „სპარტაკი“ თბილისის „ლოკომოტივს“ მასპინძლობდა და დაამარცხა იგი ანგარიშით 21:10. ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი) თავის მოედანზე შეხვდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 34:7. „სლავამ“ (მოსკოვი) მოუგო „პრიმორეცს“ (ლენინგრადი) 47:3, „ფილიმ“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტს“ (ნალჩიკი) 33:0.



ავსტრალიელთა ტურნე

ევროპაში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩამოვიდა სიდნეის (ავსტრალია) ნაკრები, რომელმაც მოსკოვში უკვე ორი მატჩი გამართა. მან ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან „სლავასთან“ ითამაშა და დაამარცხა იგი — 38:22, ხოლო შემდეგ ქვეყნის ჩემპიონთან, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის კოლექტივთან ასპარეზობაში უფრო დიდ წარმატებას მიაღწია — 42:19.

მოსკოვში ჩამოსვლამდე სიდნეის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ავსტრალიის ნაკრების ხუთი რეგბისტია, შეხვედრები გამართა იაპონიაში, კანადაში, შოტლანდიაში, უელსში და მხოლოდ ერთი მატჩი წააგო.

ნახევარფინალში გავიდნენ

დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მატჩები წინასწარ ჯგუფებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე, გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი.

თბილისის „დინამოს“ თავის ჯგუფში ბოლო მატჩი ჰქონდა ერევანში, ადგილობრივ „არარატთან“. ვინაიდან თბილისის „დინამოს“ ძირითადი გუნდი ამჟამად იუგოსლავიაში იმყოფება ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად, ხოლო რამდენიმე მისი წამყვანი ფეხბურთელი ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებშია მიწვეული, „არარატთან“ თამაში მოუხდა დინამოელთა ახალგაზრდულ კოლექტივს. მის შემადგენლობაში იყვნენ: გაგოშიძე, რუხაძე, დურდიაძე, გოგოლაძე, ცხვიტაია, მინაშვილი, ნანბა, ალექსიძე (ჯოხაძე), მუმლაძე, ბაზაზაშვილი, მეზუკე (სევასტოპულო).

შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 4:0 (2:0). გოლები გაიტანეს არუთინიანმა (2), ნ. პეტროსიანმა და ხაჩატრიანმა. მეკარე გაგოშიძემ ბოლო წუთებზე შეძლო ს. პეტროსიანის მიერ დარტყმული პენალტის მოგერიება.

ამ ჯგუფში თბილისის „დინამომ“ და ბაქოს „ნეფთჩიმ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ დებულების თანახმად უპირატესობა მიენიჭა მას, ვისაც დამარცხებული ჰყავდა თავისი უშუალო მეტოქე. ამ მაჩვენებლით ნახევარფინალში გავიდა თბილისის „დინამო“, რომელმაც ბაქოს „ნეფთჩის“ მოუგო ანგარიშით 1:0.

„სოვეტსკი სპორტის“ პრიზის სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მაშტიორი“ (დონეცკი) 3:2, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (კიევი) 0:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:3, „ზენიტი“ — ცსკა 3:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0.

ამრიგად, პრიზის ნახევარფინალში იბრძოლებენ „კრილია სოვეტოვი“ — „დნეპრი“, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (თბილისი).

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

7 მაისს შედგა კალენდარული მატჩი I ლიგის გუნდებს „ზვეზდასა“ (პერმი) და „ურალმაშს“ (სვერდლოვსკი) შორის. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა „ურალმაშმა“.

ახალგაზრდული ნაკრები — ლიდერი

მოსკოვი, 9 მაისი. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და საბერძნეთის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 და 5 ქულით 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ თავიანთ ქვეჯგუფში. ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა შენგელიამ („დინამო“, თბილისი) და 1 — სლობოდიანმა („დინამო“, კიევი).

17 მაისს საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრები უნგრელებს შეხვდება მათს მინდორზე.

მეორე ლიგაში

მოგვყავს II ლიგის IV ზონაში 6 მაისს ჩატარებული ტურის შედეგები: „დინამო“ (მახაჩყალა) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 4:0, „დინამო“ (კიროვი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 2:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „სოკოლი“ (სარატოვი) 1:1, „გასტელო“ (უფა) — „დინამო“ (სოხუმი) 7:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IV ზონა

მდგომარეობა 10 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა“	5	4	1	0	11—3	9
„სპარტაკი“ ნლ.	5	4	1	0	7—2	9
„დინამო“ ზ.	5	4	0	1	9—2	8
„დინამო“ მხ.	5	4	0	1	12—6	8
„ტორპედო“	5	3	1	1	9—5	7
„დინამო“ ბ.	5	3	1	1	8—4	7
„გურია“	5	2	2	1	13—6	6
„შირაკი“	5	3	0	2	9—7	6
„დრუჟბა“ მ.	5	2	1	2	7—3	5
„პროგრესი“	5	2	1	2	6—5	5
„ავტომობილისტი“	5	2	1	2	5—4	5
„ლოკომოტივი“	5	2	1	2	4—5	5
„სპარტაკი“ თბ.	5	2	1	2	6—8	5
„დრუჟბა“ ი.-ო.	5	2	1	2	4—7	5
„დინამო“ სხ.	5	1	2	2	4—11	4
„გასტელო“	5	1	1	3	9—9	3
„ტურბინა“	5	1	1	3	5—6	3
„სოკოლი“	5	1	1	3	5—10	3
„დინამო“ კრ.	5	1	1	3	4—9	3
„ზენიტი“ იჟ.	5	0	2	3	3—8	2
ფიზკ. ინსტ.	5	1	0	4	2—7	2
„არაზი“	5	0	0	5	2—17	0

ასპარეზობენ ნორჩები

ბორჯომის რაიონში მაღალ ორგანიზაციულ დონეზე მოეწყო „ტყავის ბურთის“ პრიზების გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბორჯომის კომკავშირის რაიკომი და ფიზკულტურის კომიტეტი.

უმცროს ასაკობრივ ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა რუსთაველის ქუჩის გუნდი „ავაზა“, საშუალო ასაკის გუნდებში — ახალშენის ქუჩის „ბედურა“, ხოლო უფროსი ასაკის კოლექტივებში — რუსთაველის ქუჩის „დინამო“. ასპარეზობის მონაწილეთაგან აღნიშვნის ღირსი არიან დ. კაპანაძე, ს. იობაშვილი, ს. ბანძელაძე, მ. წეველიძე, ლ. ხუციშვილი, უ. ინდუაშვილი, დ. შევჩენკო, ვ. ხაჩიძე, გ. ვეფხვაძე, გ. გელაშვილი, კ. ციყელაშვილი, მ. ლომიძე, გ. კარაპეტოვი, თ. მანჯგალაძე, მ. იობაშვილი, გ. ტალახაძე და სხვანი.

გ. ორჯონიკიძე.

გამარჯვება სტარტზე

ვარშავა. (საკდესის კორ.). ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ტარტუელმა სპორტსმენმა აავო პიკუუსმა ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა პოლონეთის დედაქალაქის ქუჩებში და მშვიდობის 30-ე ველორბოლის პირველი ეტაპი მოიგო. სულ ცამეტი ეტაპი მოეწყობა. 28-კილომეტრიანი ტრასა საბჭოთა სპორტსმენმა 38 წუთსა და 27 წამში გაიარა, ჩამოიტოვა პოლონელი ტ. მიტნიკი (38.31) და ლენინგრადელი ვ. ოსოკინი (38.35), რომლებსაც II და III ადგილები ხვდათ.

სსრ კავშირის ნაკრების წევრები პირველობდნენ გუნდურ ჩათვლაშიც — 1:56.25. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის მრბოლელები (1:57.35). მესამე იყო ჩეხოსლოვაკიის გუნდი (1:58.21).

კუიბიშეველმა ა. ავერინმა მოიგო მეორე ეტაპი. 133 კილომეტრი ვარშავიდან ლოძამდე მან 2 საათში, 47 წუთსა და 9 წამში დაფარა. ფინიშთან მეორე იყო რბოლის ლიდერი პიკუუსი, მესამე — იტალიელი ჯოვანი ბინო.

სსრ კავშირის ნაკრებმა ამ ეტაპზეც გაიმარჯვა. საბჭოთა მრბოლელები ლიდერის მაისურებით ასპარეზობდნენ. მეორე ადგილზეა გდრ-ის ნაკრები, მესამეზე — პოლონეთის გუნდი.

აფროსნობა

„ფინისა“ და „ტემპესტის“ აფრიანი ნავებით რბოლაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, კიეველმა ვ. მანკინმა იტალიაში გამართულ ევროპის პირველობაში „ვარსკვლავის“ კლასის ნავით სცადა ძალა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მას მხოლოდ ამერიკელმა ჯ. შუნმეიკერმა აჯობა.

კალათბურთი

სომალის დედაქალაქ მოგადიშოში დამარცხებით დაიწყეს ტურნე თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა. ისინი აქ შეხვდნენ საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს გუნდს და წააგეს ანგარიშით 50:58.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ახალგაზრდა კალათბურთელთა ნაკრები გუნდი. ვაშინგტონში ადგილობრივ ახალგაზრდებთან მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 88:80.

საბჭოთა კალათბურთელებმა მეორე მატჩი ნიუ-იორკში ჩაატარეს ადგილობრივ ნაკრებთან. ეს შეხვედრაც მასპინძლებმა მოიგეს მინიმალური სხვაობით — 87:86. საბჭოთა გუნდიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ნ. დერიუგინი (24 ქულა) და გ. კაპუსტინი (23 ქულა).

პირველი სიურპრიზი

ქუთაისი, 10 მაისი (ტელეფონით). საქართველოს ვაჟთა პირველობაში, რომელიც სამთო ტექნიკუმის შენობაში მიმდინარეობს, გუშინ გათამაშდა II ტურისა და წინადღით გადადებული პარტიები.

II ტურის სიურპრიზი გახლდათ მონაწილეთაგან ერთადერთი ოსტატის ზ. სტურუას (თბილისი) დამარცხება თანაქალაქელ კ. ჩიგოგიძესთან.

კვლავ გაიმარჯვა სამტრედიელმა მ. არჩვაძემ, რომელმაც ვ. ვეფხვიშვილს (თბილისი) მოუგო. ქუთაისელი მოჭადრაკეების გ. გიორგაძისა და ბ. ხეცურიანის შეხვედრაში მეორემ გაიმარჯვა. ი. სიფრაშვილმა (სიღნაღი) სძლია ა. ლომიძეს (რუსთავი), ს. ლპუტიანმა (თბილისი) — გ. ტყებუჩავას (ცხაკაია), მ. ჭიპაშვილმა (კასპი) — გ. მენაბდეს (ქუთაისი). თბილისელმა რ. კაპანაძემ მეორე მარცხი იწვნია, ამჯერად ზუგდიდელ გ. თორიასთან.

გადადებული პარტიების დამთავრებისას დაზავდნენ ლპუტიანი — ხეცურიანი და დ. გურგენიძე (საგარეჯო) — სიფრაშვილი. ჭიპაშვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა ტყებუჩავას, ვეფხვიშვილმა — მენაბდეს. გურგენიძემ წააგო გ. გრძელიშვილთან (თბილისი).

ორი ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვთ მ. არჩვაძეს, მ. ჭიპაშვილსა და დ. გედევანიშვილს. ს. ლპუტიანმა, ი. სიფრაშვილმა, გ. თორიამ და ბ. ხეცურიანმა 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჭადრაკი

დაწინაურდა ახმილოვსკაია

სოფიაში (ბულგარეთი) ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ე. ახმილოვსკაიას (სსრ კავშირი) და ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი) მეოთხედფინალურ მატჩში გათამაშდა მეორე პარტია.

საბჭოთა მოჭადრაკემ კარგად ითამაშა და დაწინაურდა — 1,5:0,5.

მოგებით დაიწყო

ლას-პალმასში (ესპანეთი) სტარტი აიღო დიდმა საერთაშორისო ტურნირმა, რომლის 16 მონაწილეს შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეებიც — მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი.

I ტურში კარპოვი შეხვდა კუბელ საერთაშორისო ოსტატს ერნანდესს და მოიგო. ტალის მეტოქე იყო ინგლისელი დიდოსტატი მაილსი, მძაფრი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

ოთხი დიდოსტატი დაამარცხა...

პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა გუნდების IV საკავშირო პირველობაში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, გუშინ ბოლოსწინა, IV ტურის სეანსები გაიმართა.

მოსკოველმა მოჭადრაკეებმა სძლიეს კიეველებს — 8,5:5,5. გამარჯვებულთა კაპიტანმა ე. ვასიუკოვმა ყველა მეტოქე დაამარცხა, კიეველთა თავკაცმა დ. ბრონშტეინმა კი 1,5 ქულა დაკარგა.

ლენინგრად-სვერდლოვსკის შეხვედრაში დიდი წარმატებით ჩაატარა სეანსი მ. ტაიმანოვმა (ლენინგრადი), რომელმაც თავის გუნდს 6,5 ქულა შესძინა. სვერდლოვსკელთა კაპიტანმა ე. სვეშნიკოვმა ხუთ პარტიაში მხოლოდ 2,5 ქულა დააგროვა. მატჩს ლენინგრადელები იგებენ — 9:3 (2).

მძაფრად ჩატარდა თბილისელთა და კემეროვოელთა კაპიტნების ნ. გაფრინდაშვილისა და ვ. ცეშკოვსკის დაუსწრებელი დუელი. დიდოსტატი ქალის სეანსი შეწყდა ანგარიშზე 3:3. ერთი პარტია გადაიდო მისი უპირატესობით. კემეროვოელთა კაპიტანი დანებდა ზ. აზმაიფარაშვილს, დაუზავდა ი. ეფიმოვსა და ა. ჩიკვაიძეს. ერთი პარტია მასაც გადადებული აქვს. ჯერჯერობით შეხვედრის ანგარიშია 7:5 კემეროვოელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია აზმაიფარაშვილის შესანიშნავი თამაში: მან ოთხი დიდოსტატი დაამარცხა.

4 ტურის შემდეგ ლიდერობს ლენინგრადი — 32,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

დღეს, 11 მაისს, პირველობის დასკვნითი, V ტური მოეწყობა.

ერიქსონის სამი შაიბა

ვენაში, ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გაიმართა ფინალური შეჯიბრების ბოლო ტური.

კანადელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები — 8:2 (2:0, 2:2, 4:0).

შექმნილ სიტუაციაში საბჭოთა ჰოკეისტებს შვედებთან შეხვედრაში ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. შვედები ბრწყინვალედ თამაშობდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. სამივე შაიბა რ. ერიქსონს ეკუთვნის. საბჭოთა გუნდიდან შაიბა გაიტანა შადრინმა.

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	10	7	1	2	54—32	15
შვეცია	10	7	0	3	43—19	14
სსრ კავშირი	10	7	0	3	77—24	14
კანადა	10	6	1	3	47—35	13

გუნდები, რომლებიც V-VIII ადგილებისთვის ასპარეზობდნენ, საბოლოოდ ასე განლაგდნენ:

ფინეთი	10	5	0	5	45—43	10
აშშ	10	3	1	6	29—43	7
გფრ	10	2	1	7	23—58	5
რუმინეთი	10	1	0	9	20—84	2

გაისად რუმინეთის ადგილს გდრ-ის სპორტსმენები დაიკავებენ.

* * *

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჟურნალისტებმა შეადგინეს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ მეკარე ჰეგიუსტა (შვეცია), მცველები ვასილიევი (სსრ კავშირი), პოსპიშილი (ჩეხოსლოვაკია), თავდამსხმელები ბალდერისი, პეტროვი (ორივე — სსრ კავშირი) და მარტინეცი (ჩეხოსლოვაკია).



ოლიმპიელმა ვლადიმერ მარკელოვმა ყველას აჯობა მრავალჭიდში გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე სპორტულ ტანვარჯიშში გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში.

საკდესის ფოტო.

ჰოკეი

პროფესიონალები პროფესიონალთა შესახებ

სტოკჰოლმი. ჯერ კიდევ ვენის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე შვეციის ნაკრების მწვრთნელს ჰანს ლინდბერგს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ გუნდში ადგილები „დაჯავშნილი“ ჰქონდათ ჰოკეისტებს, რომლებიც კანადის პროფესიულ კლუბებში გამოდიან—მცველ ბერიე სალმინგს („ტორონტო მეიპლ ლიფსი“) და თავდამსხმელ როლანდ ერიქსონს („მინესოტა ნორტ სტარზი“). სალმინგს უარი უთხრეს ევროპაში სათამაშოდ გაგზავნაზე, ერიქსონი კი გაათავისუფლეს, რადგან მინესოტის გუნდი ახლახან გამოეთიშა სტენლის თასის გათამაშებას.

კანადელი სპეციალისტები 22 წლის ერიქსონს წლევანდელ სეზონში ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე დიდ აღმოჩენად მიიჩნევენ. ერიქსონმა 70 მატჩში ითამაშა და 22 გოლი გაიტანა. მასვე ეკუთვნის 39 საგოლე გადაცემა. ყოველივე ამან ერიქსონი გუნდის მოწინავე ბომბარდირთა რიცხვში ჩააყენა. ტრიო, რომელშიც მასთან ერთად შედიან ამერიკელი სტივ ჯენსენი და კანადელი ალექს პირუსი, „მინესოტა ნორტ სტარზის“ მთავარ დამკვრელ ძალას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მთელი სეზონის მანძილზე ერიქსონი ერთხელაც არ დაშავებულა. ეს მართლაც გასაკვირია, რადგან კანადაში ახალბედებს, მით უფრო უცხოელებს, მცველები განსაკუთრებულ „ყურადღებას“ აქცევენ.

ერიქსონმა 1975 წელს თავისი მშობლიური კლუბის „ლექსანდის“ შემადგენლობაში შვეციის ჩემპიონობა მოიპოვა. 1976 წელს იგი შვეციის ნაკრების სახელით თამაშობდა კატოვიცეს მსოფლიო ჩემპიონატში და დებიუტი წარმატებით დააგვირგვინა. ამავე დროს, როლანდი და მისი თანაკლუბელი იორან ჰეგიუსტა შვეციის ახალგაზრდული ნაკრების „ვიკინგების“ უძლიერესი მოთამაშენი არიან.

გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ წერს, რომ ერიქსონი გამოირჩევა დახვეწილი, მაღალტექნიკური, „ინტელიგენტური“ თამაშით, შესაშური სიმშვიდით და მოედანზე ფხიზელი აზროვნების უნარით. იგი ბინძური თამაშისა და უხეშობის წინააღმდეგია.

იმავე გაზეთის ფურცლებზე ერიქსონი გამოთქვამს აზრს, რომ ჰოკეის ეროვნული ლიგისა და საერთაშორისო ასოციაციის მატჩებში მსაჯობის წესები უფრო მკაცრი უნდა იყოს. ეს ინტერესსა და სანახაობრივ მიმზიდველობას შემატებს თამაშს. როლანდ ერიქსონმა წარმატებით დაიწყო პროფესიონალის კარიერა და განზრახული აქვს კიდევ რამდენიმე წელიწადს ითამაშოს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.

(საკდესი).

ხელბურთი

ზაპოროჟიეში მიმდინარეობს ქალთა უმაღლესი ლიგის გუნდების მეორე წრის დასკვნითი ტურნირი. აქ, შეჯიბრების ამ ეტაპზე გაირკვევა, ვინ მოხვდება ფინალურ ექვსეულში და განაგრძობს ბრძოლას პირველობისთვის. გთავაზობთ შედეგებს: **5 მაისი.** „დინამო“ (კიშინიოვი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 15:19, „სპარტაკი“ (ბაქო) — „ბურევესტნიკი“ (ალმაათა) 24:12, „კოლოსი“ (ბერეგოვო) — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) 13:23, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 11:12, „სპარტაკი“ (კიევი) — „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) 35:5, „მეტალურგი“ (ბროვარი) — ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი 14:13; **6 მაისი.** „ცვეტმეტი“ — „მეტალურგი“ 13:16, უპი — „სპარტაკი“ (ბაქო) 17:17, „როსტსელმაში“ — „ჟალგირისი“ 14:7, „ლუჩი“ — „კოლოსი“ 23:15, „ბურევესტნიკი“ — „სპარტაკი“ (კიევი) 14:30, ზიი — „დინამო“ 23:18; **7 მაისი.** „მეტალურგი“ — „ბურევესტნიკი“ 16:14, „დინამო“ — „ცვეტმეტი“ 26:17, „სპარტაკი“ (ბაქო) — „ლუჩი“ 19:19, „კოლოსი“—„როსტსელმაში“ 11:16, „სპარტაკი“ (კიევი) — უპი 21:11, „ჟალგირისი“ — ზიი 15:16.

[illegible]...

...თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის გუნდების XVI საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის დასკვნითი ტური. გთავაზობთ შედეგებს: „კუნცევო“ (მოსკოვი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) 29:17 (14:10), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ცსკა 27:20 (13:10). თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდების მატჩი გვიან დამთავრდა.

„მისი უდიდებულესობა კაიზერი ფრანცი“ ტახტს ტოვებს

ტელევიზია ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე ოპერატიული წყაროა, მაგრამ ზოგჯერ მასაც კი არ ძალუძს წინასწარ გამოიცნოს მომავალი მიწისძვრა ან ზვავის საფრთხე და მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით იზღუდება.

სამაგიეროდ, იგი თითქმის ყოველდღიურად გვიჩვენებს იმ, თუ შეიძლება ითქვას, არარეგისტრირებული სტიქიის კადრებს, რომელშიც ერთდროულად ბობოქრობს სიყვარულიც და სასოწარკვეთაც, წუხილიცა და აღტაცებაც.

ადამიანურ ვნებათა აფეთქება — ეს ის უმაღლესი დაძაბულობის მომენტია, როცა სტადიონის ფიალა მოგვაგონებს ლაბორატორიულ ჭურჭელს, რომელშიც ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. ჩვენი გულის კერპები კი — ამ უსაზღვრო პროცესის ჭეშმარიტი კატალიზატორები — კვლავ და კვლავ მზად არიან ბრძოლაში ჩასაბმელად, რათა მუდამ თვალისმომჭრელად ელავდეს სპორტულ გამარჯვებათა შარავანდედი.

აი, ამაშია სპორტის მთავარი აზრი და მიმზიდველობა, ხოლო მისი კერპების ცხოვრება ამიტომაც განსხვავდება ასე ძალიან ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხოვრების ყოველდღიურობისგან. და, როცა რომელიმე ვარსკვლავის „დიდების ხომალდი“ წყალქვეშა რიფებს გადააწყდება, ეს მყისვე მთელი სამყაროსთვის ცნობილი ხდება. ხოლო, თუ ეს სპორტსმენი მარტო ბრწყინვალე ვარსკვლავი კი არა, ფეხბურთის გვირგვინოსანიც გახლავთ, მაშინ...

მაგონდება 1972 წლის მაისის დილა, როცა საშუალება მომეცა დასავლეთ გერმანიის სპორტის მოყვარულთა მექას — მიუნხენის ერთ-ერთ ფეშენებელურ გარეუბანში მდებარე საწვრთნელ ბანაკს „გრიუნვალდშპორტჰალეს“ ვწვეოდი. აქ გფრ-ის ეროვნული ნაკრები საბჭოთა ფეხბურთელებთან შესახვედრად ემზადებოდა. ეს იყო მატჩი, რომელიც ოლიმპიური სტადიონის გახსნას ეძღვნებოდა. მე და ჩემი გერმანელი კოლეგა პეტერ კლაინი ბაზას დათქმულ ვადაზე ადრე ვესტუმრეთ. ფეხბურთელები საუზმობდნენ.

ჰელმუტ შიონმა გაოცებულმა დახედა საათს, მაგრამ, მორიდება რომ შეგვატყო, მყისვე სუფრასთან მიგვიწვია.

მე არაფერს გიამბობთ ჩვენი საუბრის შესახებ, რადგან იგი ხუთი წლის წინათ უკვე დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე. დავუბრუნდები მხოლოდ ხანმოკლე დიალოგს ფრანც ბეკენბაუერთან, რადგან იგი უშუალო კავშირშია დღევანდელ სენსაციასთან, რომელმაც გააოცა და საგონებელში ჩააგდო არა მარტო გერმანელი გულშემატკივრები, არამედ მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულები.

თუ სიმართლე გნებავთ, მე სრულიად მოულოდნელად მოვხვდი ამ გარემოში და ამიტომ ინტერვიუსთვის შეკითხვების შერჩევა სახელდახელოდ, თუ შეიძლება ითქვას, ექსპრომტად მომიხდა.

შიონთან საუბრის შემდეგ სავარჯიშო მოედანზე გავედით, სადაც გუნდი მატჩისწინა საწვრთნელ მეცადინეობას ატარებდა. მწვრთნელი დამპირდა, მოთამაშეებს შეგახვედრებთო და თავადაც გუნდს შეუერთდა. მე მინდვრის განაპირას დავრჩი გუნდის ექიმთან და ფსიქოლოგთან — ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორთან, დოქტორ შებერგთან ერთად. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი ჩაფსკვნილი, ჭაღარა, შუახნის კაცი შემოგვიერთდა, „ჩაიკოვსკი“, — გამაცნო იგი შებერგმა. ორმოცდაათიანი წლების ცნობილმა ფეხბურთელმა მოთამაშეებზე მიმითითა და ამაყად მითხრა: „ხედავთ? — მაიერი, მიულერი, ბეკენბაუერი — ყველა ჩემი მოწაფეა“.

ამ დროს მე შიონის მზერა დავიჭირე და ბეკენბაუერზე მივუთითე. შიონმა მას გასძახა: „ბეკი“ და ანიშნა, გეძახიანო. ფეხბურთელმა მაშინვე ჩვენთან მოირბინა. ვცდილობდი გონებაში სახელდახელოდ ჩამომეყალიბებინა შეკითხვა. იმ დღეებში გაზეთები აჭრელებული იყო დიდი ბრიტანეთიდან მოსული ცნობებით. წერდნენ, რომ სახელგანთქმულმა ჯორჯ ბესტმა საქვეყნოდ განაცხადა, ფეხბურთი ყელში ამომივიდაო და ერთ მშვენიერ მანეკენ ქალთან ერთად ესპანეთისკენ გასწია.

— ფრანც, ბრიტანელთა კერპის საქციელმა მთელი სპორტული სამყარო შეაშფოთა. თქვენ გერმანელ გულშემატკივართა კერპი ბრძანდებით. როგორ გგონიათ, შეიძლება მსგავსი რამ თქვენს ცხოვრებაში მოხდეს?

პასუხი დაუყოვნებლივ მივიღე:

— არ ვიცი, ფეხბურთის გარდა რით შემიძლია მადლობა გადავუხადო ჩემს ხალხს იმ სიყვარულისა და აღიარებისთვის, რომლითაც მან ასე უხვად დამაჯილდოვა. ამიტომ ფრანც ბეკენბაუერი მხოლოდ მაშინ დატოვებს მინდორს, როცა ამას გერმანელი მაყურებელი მოითხოვს. მაპატიეთ, მეჩქარება. იგი ცქვიტად მიტრიალდა და ამხანაგებს შეუერთდა. შეუძლებელი იყო, ამ სიტყვებს შთაბეჭდილება არ მოეხდინა. მთელი ამ წლების მანძილზე ყოველ ჩვენგანს ბევრჯერ ჰქონდა საშუალება თვალყური ედევნებინა ბეკენბაუერის რაინდული თამაშისთვის, რომელსაც მართლაც ძალზე უხდებოდა მის მიერვე გამოთქმული ჭეშმარიტად მაღალიდეური სიტყვები.

ამავე დროს, მე მინახავს მისი სახე აღბეჭდილი ლუდის კათხებზე და ქალის თავსაფრებზე, ავტოკალმებზე და გულსაკიდებზე. მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს იყო კიდევ ერთი მსხვერპლი, გაღებული კეთილშობილი სპორტსმენის მიერ, რომელსაც არ სურს მხოლოდ თავის თავს ეკუთვნოდეს.

და აი, უცებ, ატყდა საოცარი ხმაური: სასწორზე დევს ერის ღირსება და დოლარი. ფრანც ბეკენბაუერმა დინჯად დაადო ხელი მწვანე კუპიურებს და ხმამაღლა განაცხადა: „უორნერ კომუნიკეიშენს“. პროფესიული სპორტის მაკლერებმა სიხარულით ტაში შემოჰკრეს.

მაშ ასე, „კაიზერმა ფრანცმა“ სამუდამოდ დატოვა ტახტი და ახალ სიმაღლეს შეუტია, სიმაღლეს, საიდანაც ღიმილიანი სახით ვერავინ დაეშვება.

თ. სულხანიშვილი,
საქართველოს ტელევიზიის კომენტატორი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრა იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი

ირაკლი იოსების ძე სულიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 11-V — 19 ს. გამოსვენება 12-V — 16 ს. საბურთალოს ქ. № 57ა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02145